2026 წლის 6 მარტს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა - **თეა ქამუშაძემ** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: ***„აკადემიური სოციალიზაცია და კოლონიალიზმის ლოგიკა: ოქსფორდის გამოცდილებაზე რეფლექსია.“***

თეა ქამუშაძემ დაამთავრა მუშაობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტზე - *„ტრადიციების და თანამედროვეობის გადაკვეთა: ქართული ეთნოლოგიის გადაფასება პოსტკოლონიურ და ციფრულ ჭრილში ოქსფორდის უნივერსიტეტში“*(UOGSP-24-014). ის, როგორც მიწვეული მკვლევარი, კვლევებს ახორციელებდა ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილებაში. სემინარზე წარმოდგენილი იყო აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს საბოლოო ანგარიში.